აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

16 სექტემბერი, 2022

დადგენილება №7(22/23)
მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტის შეფასების სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:** მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტის შეფასების სისტემაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. **ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში „სტომატოლოგია“, საბაკალავრო პროგრამაში „ფარმაცია“, საბაკალავრო პროგრამაში „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“, სამაგისტრო პროგრამაში „ფარმაცია“** სტუდენტის შეფასების სისტემაში შევიდეს ცვლილება შემდეგი ფორმით:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 24 ქულას და არ აქვს გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობის 50%-ზე მეტი.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 24 ქულით.

2. **ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში დიპლომირებული მედიკოსი/PBL და ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის** სტუდენტის შეფასების სისტემაში შევიდეს ცვლილება შემდეგი ფორმით:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 24 ქულას და არ აქვს გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობის 50%-ზე მეტი.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 25 ქულით.

3. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი